სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლა

საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერის პრაქტიკა, არსებული რეალობა და მისი გაუმჯობესების გზები

კახაბერ ჩაკვეტაძის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევის ანგარიში

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი:

შესავალი *3*

საკვლევი საკითხის აქტუალობა 3

თავი I *5*

საკვლევი საკითხის მიმოხილვა *5*

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები *6*

მოსალოდნელი შედეგები *6*

კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები *7*

თავი I *9*

ლიტერატურის მიმოხილა *9*

თავი III *27*

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია *27*

კვლევის სამიზნე ჯგუფი 27

შერჩევა 27

კვლევის სამოქმედო გეგმა და ვადები 27

მონაცემთა შეგროვების მეთოდები 29

თავი IV კვლევის შედეგები *31*

ჩაღრმავებული ინტერვიუ დირექტორთან 31

მეორადი მონაცემების ანალიზი 35

კვლევის მიგნებები და ნაკლოვანებები 37

ინტერვენცია *37*

განხორციელებული ინტერვენციების შედეგების ანალიზი 39

დასკვნა 43

რეკომენდაციები 44

ბიბლიოგრაფია *45*

დანართები: *46*

დანართ N 1 46

დანართი N2 46

მასწავლებლის თვითშეფასება/რეფლექსია: *71*

შესავალი

სკოლის საჭიროებების კვლევის ობიექტი-სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლა. კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს კვლევის ანგარიშს, რომელიც ეხება საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერის პრაქტიკას, მასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ამ სირთულეების დაძლევის გზებს.

საკვლევი საკითხი - მასწავლებლების მიერ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერის პრაქტიკა, არსებული რეალობა და გაუმჯობესების გზები.

- საკვლევი საკითხის შესახებ მოკლე მიმოხილვა
- მიზანი;
- კვლევის მეთოდები;
- დიაგნოსტიკური კვლევის შედეგები (მოკლედ)

ინტერვენციები (მოკლედ)

- ინტერვნეციების შეფასება (მოკლედ)

საკვლევი საკითხის აქტუალობა

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლაში დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვით მასწავლებელი ვალდებულია მოამზადოს ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმები. საგაკვეთილო გეგმების სტრუქტურა მართალია იცვლება, მაგრამ ძირითადი პრინციპები იგივე რჩება. საგაკვეთილო გეგმა მოიცავს კლასს, მოსწავლეთა რაოდენობას (მათ შორის სსსმ მოსწავლე), თემას/საკითხს, გაკვეთილის მიზანს, ესგ-სტანდარტს, მოსალოდნელ შედეგებს, მიზნის შესაბამის აქტივობებს, მეთოდებს/სტრატეგიებს, კლასის ორგანიზების ფორმას, დროს, რესურსებს და შეფასებას/თვითშეფასებას. გაკვეთილის გეგმის დროს ასევე მასწავლებელმა უნდა

გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და მათი ინდივიდუალური შესაძლებლობები.

გაკვეთილის ყოველდღიურად დაგეგმვის თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგები ჰყავ, რომლებსაც თავიანთი მყარი არგუმენტები აქვს. პედაგოგთა ნაწილში ჩნდება შინაგანი პროტესტი გაკვეთილის დაგეგმვისადმი, მათ მიაჩნიათ, რომ დაგეგმვა ზღუდავს მათ შემოქმედობითობას, თავისუფლებას. მათგან ხშირად ისმის შემდეგი ფრაზა: ,,კლასი ცოცხალი ორგანიზმია. კარგი მასწავლებელი გაკვეთილს და, ზოგადად, სასწავლო პროცესს უნდა აგებდეს სიტუაციიდან გამომდინარე. ეს უფრო საინტერესო იქნება როგორც მოსწავლეებისტვის, ასევე მასწავლებლებისთვის“ (გვ.1 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018, ,,ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენება დაწყებითი საფეხურის მატემატიკის (I-V, V-VI კლასები) გაკვეთილზე (საკითხავი მასალა)).

მე შევჩერდები თუ რატომ უნდა დაგეგმოს გაკვეთილი მასწავლებელმა და რა დადებითი როლი შეიძლება ითამაშოს მან სასკოლო ცხოვრებაში. გაკვეთილის დაგეგმვა ემსახურება სასწავლო პროცესისს ორგანიზებას, მის გამდიდრება - გამრავალფეროვნებას, განახლებასა და დახვეწას. საჭიროა ვეთილის

გაკვეთილის გეგმა სარგებლიანია მასწავლებლისთვის, რადგან ის აღწერს კონკრეტულ გაკვეთილს დაწყების წუთიდან დასასრულამდე. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ეფექტურად იყენებს საგაკვეთილო დროს, რადგან მას უადვილდება შერჩეული აქტივობების მიხედვით გაკვეთილის წარმართვა, მოსწავლეთა მოტივაცია, გაკვეთილის მიზნის მიღწევა და შედეგზე გასვლა, უადვილდება ასევე, საჭიროების შემთხვევაში გეგმის მოდიფიცირება.

მასწავლებლის მიერ წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილი მოსწავლისთვის მეტად სარგებლიანია, რადგან გაკვეთილი უფრო მეტად მის საჭიროებებზე არის მორგებული, უმეტესად შედეგზეა ორიენტირებული, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები. მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს მოსწავლეთა ასაკის და საჭიროებების გათვალისწინებით სასწავლო რესურსები და სხვა..

გაკვეთილის წარმართვა წინასწარ დაწერრილი საგაკვეთილო გეგმის მიხედვით სარგებლიანია სკოლისთვისაც, რადგან დირექციისთვის ის იძლევა ერთგვარი მონიტორინგის საშუალებას, თუ რამდენად კეთილსინდისიერად ეკიდება მასწავლებელი მასზე დაკისრებული სასწავლო პროცესისი წარმართვას, რამდენად ფლობს და იყენებს სწავლების თანამედროვე სტრატეგიებსა და მეთოდებს, რამდენად ცდილობს მასწავლებელი ყველა მოსწავლის (მათი ინდ.შესაძლებლობების გათვალისწინებით) ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, რამდენად მიზნობრივი და შედეგიანი იქნება მასწავლებლის გაკვეთილები და რამდენად უნდა დაიიმედოს თავი, რომ მისი სკოლის ავტორიტეტი, მისი სკოლის აღსაზრდელების ჩამოყალიბება სრულფასოვან ტოლერანტ მოქალაქეებად საიმედო ადამიანის ხელშია.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების მომზადების ინიციატორი იყო სკოლის დირექტორი. ამ ინიციატივის მიზანი კი იყო, რომ, თუ მასწავლებელი ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმას შეადგენს, ეს, ერთი მხრივ, აისახება მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე და მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ურთიერთთანამშრომლობას მასწავლებლებს შორის. ამ ინიციატივის განხორციელებაში ვეხმარებოდი დირექტორს, როგორც სქემის ფასილიტატორი და მასწავლებლებისათვის გაკვეთილის დაგეგმვის საკითხებზე პერიოდულად ვმართავდი სამუშაო შეხვედრებს. ამ შეხვედრების მიუხედავად გამოიკვეთა რამდენიმე ძირეული პრობლემა:

1.მიუხედავად სამუშაო შეხვედრებისა, არ შემცირებულა მასწავლებელთა მომართვიანობა, რათა მათ დავხმარებოდი საგაკვეთილო გეგმის შედგენაში (რადგან სკოლის ადმინისტრაცია მასწავლებლებლებისაგან ითხოვს ძირეულ საგაკვეთილო, კონკრეტულ გეგმას, თითოეული აქტივობის სრული აღწერით. მასწავლებლები რომელსაც 15-18 საათიანი კვირეული დატვირთვა აქვთ, სრულყოფილად ვერ ართმევენ

ამ დავალების შესრულებას თავს, ამიტომ საგაკვეთილო გეგმების წერამ მიიღო ფორმალური ხასიათი);

2.მასწავლებელთა გარკვეულ კატეგორიას უჭირს გაკვეთილის წარმართვა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით (ან წერენ გაკვეთილის გეგმას და გაკვეთილზე სხვა აქტივობებს და მეთოდებს იყენებენ);

3.არიან მასწავლებლები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ გაკვეთილის გეგმის დაწერას.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

საკვლევი საკითხის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა ის მიზეზები რომელიც ხელს უწყობდა ზემოთ ხსენებულ პრობლემას. ესენია:

- დროის ფაქტორი. მასწავლებელთა უმეტესობა კვირაში სრული დატვირთვით ატარებს გაკვეთილებს, რის გამოც გაკვეთილის დაგეგმვას ვერ ახერხებს სრულყოფილად.
- მასწავლებელთა უმეტესობა ვერ რჩება ჩარჩოში რომელშიცს გაკვეთილის გეგმა სვამს
- გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი შედეგიანობის ზერელედ ცოდნა
- ადმინიტრაციის მხრიდან დიდი მოლოდინები მასწავლებელთა მიმართ
- ნაკისრი ვალდებულებებისადმი ნაკლები პასუხისმგებლობა მასწავლებელთა მხრიდან.

მოსალოდნელი შედეგები

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა დაეხმარება მოსწავლეებს რადგან მიიღებენ ეფექტურ და ცოდნაზე ორიენტირებულ გაკვეთილებს, სადაც მათიროლი იქნება დიდი

და სასწავლო პროცესი კი მათზე ორიენტირებული. მოხდება კოლეგებთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები, გაზრდის მოსწავლეთა აქტივობას, მათ ინფორმირებულობას განათლების საკითხებში, შეძლებისდაგვარად გააუმჯობესებს მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულებას. მშობლებს გაუადვილებს საშუალო საფეხურზე თვალი ადევნონ შვილების სასკოლო ცხოვრებას და ეს ყველაფერი საბოლოოდ აისახება მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებზე.

ვფიქრობ, რომ ჩემი კვლევა გამოადგება კოლეგებს, ვინაიდა ეს სკოლის პრობლემაა (და არა მხოლოდ ჩემი სკოლის) ისინი გაიზიარებენ ჩემ გამოცდილებას, იხელმძღვანელებენ ჩემი მიგნებებით, ეფექტურ კომუნიკაციას დაამყარებენ მშობლებთან რაც გაუადვილებს მათ საგაკვეთილო პროცესში მშობელთა ჩართვას. ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა მისცემს სტიმულს ჩემს კოლეგებს დაგეგმონ და განახორციელონ კვლევები, იმ პრობლემებზე, რომელსაც აღმოაჩენენ. შედეგად კი, ვიმედოვნებ, შევძლებთ მოსწავლეთა საერთო ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას სკოლაში და დავაინტერესებთ მშობლებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ საკუთარი შვილის განათლების მიღებაში.

კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები

ჩემი კვლევის **მიზანია**: დეტალურად შევისწავლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლაში არსებული საგაკვეთილო გეგმების წარმოების პრაქტიკა, გამოვკვეთო და გავაანალიზო არსებული პრობლემა და დავსახო გზები მის გადასაჭრელად, რათა სწავლების პროცესი შედეგიანი იყოს ყველასთვის და დადებითად აისახოს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ჩვენი კვლევის **მთავარი კითხვებია:**

- რა არის სკოლაში ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წარმოებით გამოწვეული პრობლემების მიზეზები?

- როგორ დავეხმარო მასწავლებლებს აღნიშნული პრობლემის მარტივად მოგვარებაში?

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემების მიზეზების დადგენაში დაგვეხმარება შემდეგ **ქვეკითხვებზე** პასუხის გაცემა:

- ერკვევიან თუ არა ჩვენი სკოლის პედაგოგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში და სტრატეგიებში?
- იყენებენ თუ არა და რამდენად ხშირად მასწავლებლები გაკვეთილის ჩასატარებლად წინასწარ მომზადებულ საგაკვეთილო გეგმებს?
- როგორი გაკვეთილი მიაჩნიათ მათ ეფექტურად და ნაყოფიერად?
- ახერხებენ თუ არა დროის კონტროლს გაკვეთილზე?
- თანამშრომლობენ თუ არა, აზრს უზიარებენ თუ არა კოლეგები ერთმანეთს გაკვეთილის დაგეგმვის დროს?
- რამდენად იციან მასწავლებლებმა გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი პრინციპები?
- აწყდებიან თუ არა სირთულეებს მასწავლებლები გაკვეთილის დაგეგმვის დროს?

თავი I

ლიტერატურის მიმოხილა

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გავეცანი სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურას, სადაც ყურადღება გამახვილებულია საგაკვეთილო გეგმების სტრუქტურაზე, გეგმების წერის პრაქტიკაზე და სხვა.

როგორ და რატომ უნდა შევადგინოთ საგაკვეთილო გეგმები-ამ თემის შესახებ თანამედროვე პედაგოგიკაში ბევრ საინტერესო და ინოვაციურ მასალას შევხვდებით. მინდა დავანახო ჩემს კოლეგებს რა მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხრიდან გაკვეთილის დაგეგმვა, რადგან კარგად დაგეგმილი გაკვეთილი მასწავლებელს აძლევს საშუალებას მიზნს მიაღწიოს და მოსწავლეები შედეგზე გაიყვანოს. მე შევეცდები წარმოვადგინო მცირე ნაწილი ამ ინფორმაციისა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს ჩვენს მიზანს. [4]

გაკვეთილის დაგეგმვამდე მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას შეკითხვა: რას უნდა მიაღწიოს ჩვენმა მოსწავლეებმა, როგორ უნდა მიაღწიონ და მე, როგორც მასწავლებელმა, როგორ უნდა გავიგო მიაღწია თუ არა ჩემმა მოსწავლემ წინასწარ დაგეგმილ შედეგს. ამ კითხვების გააზრების შემდეგ მასწავლებელი იწყებს საგაკვეთილო გეგმის შედგენას. პირველ რიგში იგი განმარტავს გაკვეთილის მიზანს, რა მიზანი აქვს ამ კონკრეტული საკითხის შესწავლას, რას ელის მასწავლებელი ამ კონკრეტული გაკვეთილიდან თავისი მოსწავლეებისგან და რა ცოდნას მიიღებენ მოსწავლეები გაკვეთილის ბოლოს ან რა უნარ/ჩვევების განვითარებას შეეწყობა ხელი.

ამის შემდეგ მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს რას გააკთებენ კონკრეტულად მოსწავლეები და რას მასწავლებელი გაკვეთილის კონკრეტულ ეტაპზე. როგორ მოახდენენ მოსწავლეები ნასწავლის დემონსტრირებას და რა კრიტერუმები იქმენა გამოყენებული მოსწავლეთა შედეგების შესაფასებლად.

მნიშვნელოვანია ის მასალა/რესურსები, რომლებსაც გამოიყენებს როგორც მასწავლებელი, ისე მოსწავლეები და რა დროა ამის განსახორციელებლად საჭირო.

ასევე მნიშვნელოვანია გავიტვალისწინოთ გაკვეთილის პროცედურა. ეს პროცესი შედგება სამი ეტაპისგან:

- გამოწვევა (შესავალი), რომელიც გულისხმობს მოცემულ საკიტხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეები იხსენებნ იმას, რა იციან შესასწავლი საკიტხის ირგვლივ. იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს. ხდება მოსწავლეტა გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს.
- სიღრმისეული წვდომა (მასალის მიწოდება) -იგი შესასწავლი საკიტხის შინაარსის გაგებასა და არქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას ქექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ცატარების საშუალებიტ. ამ ეტაპზე ხდება არსებული ცოდნისაქ და ახალი ინფორმაციის შეჯერება. სიღრმისეული წვდსომის უპირველესი ამოცანაა ,,გამოწვევის ფაზაზე" გაღვიზებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება.
- გააზრების, რეფლექსიის ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მირებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა - გამოცვლა, მსჯელობა.

გაკვეთილსი სამივე ეტაპი გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს გაკვეთილის გეგმაში. [6]

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის ერთ ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელმა იცოდეს სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული და სასკოლო გეგმების შესაბამისად. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოქნილი, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე აგებული ანუ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი დაგეგმოს უნდა გაითვალისწინოს რამოდენიმე ასპექტი: რას გააკეთებს მასწავლებელი გამოწვევის, წვდომის და რეფლექსიის ანუ შეჯამების ეტაპზე; გაკვეთილის სტრუქტურის რომელ სტრატეგიას გამოიყენებს

მასწავლებელი:პირდაპირ სწაავლებას თუ არაპირდაპირ სწავლებას, დედუქციური მიდგომით თუ ინდუქციური მიდგომით.

კიდევ რა არის საჭირო მოქნილი და კრეატიული გეგმების შესადგენად?

1. მოსწავლეთა სასწავლო წინაპირობის გათვალისწინება - ინდივიდუალური უნარები, ოჯახური, მოტივაციური, კულტურული, კოგნიტიური, ემოციური, ფსიქო-მოტორული, ენობრივი, სოციალური და სხვ.

2. ჩარჩოპირობების გათვალისწინება - სამართლებრივი, ინსტიტუციონალური, ადგილობრივი, დროითი და ა.შ. მონაცემები.

3. სასწავლო გეგმებზე ორიენტაცია;

4. სასწავლო და აღმზრდელობითი მიზნების ერთობლიობა;

5. მიზნებსა და შედეგებზე ორიენტაცია;

6. ძირითადი პუნქტების გამოყოფა;

7. სასწავლო სტრატეგიების დიფერენცირებული გამოყენება;

8. მრავალმხრივი მეთოდების გამოყენება;

9. რესურსების შერჩევა და მისი მომზადება;

10. სოციალური ფორმების შერჩევა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილური);

11. მოსწავლეებისათვის ახალ-ახალი სასწავლო შანსების შეთავაზება;

12. შედეგების სისტემატური კონტროლი (შედეგების სისტემური კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის, რადგან იგი მუდმივად იკვლევს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, აანალიზებს რას მიაღწია, რას ვერა და რატომ? მოახდინოს არსებული გაკვეთილის გეგმის კორექცია და მისი თავიდან პილოტირება).

გაკვეთილის გეგმის ძირითადი კომპონენტები და კავშირი მათ შორის

1.გაკვეთილის თემა და მიზანი(უნდა გამომდინარეობდეს ესგ-ის მისაღწევი შედეგიდან და მოსწავლეთა საჭიროებიდან,მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან;)

2.სასწავლო აქტივობები და მეთოდები (აქტივობა - რას ვაკეთებ? და მეთოდი - როგორ ვაკეთებ?);

3.სასწავლო რესურსები;

4.თითოეული აქტივობისთვის განკუთვნილი დრო;

5.კლასის ორგანიზების ფორმა;

6.თითოეული აქტივობისა და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი სავარაუდო შედეგები;

7.შეფასება;

8.თვითშეფასება;

აქვე გთავაზობთ საგაკვეთილო გეგმის შაბლონის რამოდენიმე ნიმუშს.

გაკვეთილის გეგმის სქემის ნიმუში N1

დისციპლინა:

სწავლების საფეხური:

მოსწავლეთა რაოდენობა:

თემა:

მიზანი:

N	აქტივობა	მეთოდი	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსი	დრო	თითოეული აქტივობის დროს მისაღწევი შედეგი

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

შეფასების ტიპები და მეთოდები:

თვითშეფასება:

(შეფასების და თვითშფასების რუბრიკები თან უნდა ერთოდეს გეგმას).

გაკვეთილის გეგმის სქემის ნიმუში N2

დისციპლინა:

სწავლების საფეხური:

მოსწავლეთა რაოდენობა:

თემა:

მიზანი:

მოსალოდნელი შედეგები:

დრო	გაკ□ეთილის ფაზა	მასწავლებლის აქტივობა	მოსწავლის აქტივობა	მეთოდი	სასწავლო რესურსები	კლასის ორგანიზების ფორმები	შეფასება

გაკვეთილის გეგმის სქემის ნიმუში N3

გაკვეთილის თემა	
საგანი/ინტეგრირებული საგნები მასწავლებლის/მასწავლებლების სახელი გვარი	
სწავლების საფეხური	
მოსწავლეთა პროფილი	მიუთითოს მოსწავლეთა რაოდენობა კლასში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საჭიროებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
აქტუალობა	რით არის ეს გაკვეთილი აქტუალური, როგორ შეუწყობს მოსწავლეებს ხელს ცოდნისა და უნარჩვევების დაუფლებაში, არსებულ ცოდნასა და ახლადშეძენილ ცოდნას შორის კავშირების დამყარებაში და სხვ.
სასწავლო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები	რა კონკრეტულ ცოდნას დაეუფლებიან მოსწავლეები, რა უნარებს გამოიმუშავებენ, რა დამოკიდებულებები ჩამოუყალიბდებათ. ეროვნული სასწავლო გეგმის რომელ შედეგებზე გავლენ.
მოსწავლეთაწინარეცოდნა	რას უნდა ფლობდეს მოსწავლე, რომ ახლად გადაცემული მასალის ათვისება გაუადვილდეს.

გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი	რა აქტივობებს განახორციელებს მასწავლებელი დასახული მიზნის მისაღწევად, როგორ მოახერხებს მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას, წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცოდნის კონსტრუირებას, ახლადშეძენილი ცოდნის გამთლიანებას და შეჯამებას. რა მეთოდებს გამოიყენებს აქტივობების განსახორციელებლად, რა დროს მოანდომებს თითოეულ მათგანს, როგორ მოახდენს კლასის ორგანიზებას.
შეფასება და თვითშეფასება	როგორ გაზომავს მასწავლებელი გავიდა თუ არა შედეგზე, შეფასების რომელ ტიპსა და მეთოდს გამოიყენებს, რა კრიტერიუმებით მოახდენს შეფასებას.
სასწავლო რესურსები	ყველა ის რესურსი, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება ეფექტიანი გაკვეთილის ჩასატარებლად.

თომას ედისონმა აღნიშნა: გენიოსი 1% შთაგონებაა და 99% ოფლისღვრა. ის დიდი გამომგონებელი იყო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დიდი ნოვატორიც. გამომგონებელიახალი საქონლისა და მომსახურების შემქმნელია; ნოვატორი კი გამოგონებას ეკონომიკური ღირებულების მქონე პრაქტიკულ საგნად აქცევს.

გაკვეთილის დამწერი გამომგონებელი უნდა იყოს, მაგრამ გამომგონებლობა საკმარისი არ არის, ის ნოვატორიც უნდა იყოს. შეიძლება დამწერს ჰქონდეს გაკვეთილისათვის სანიმუშო იდეა, მაგრამ ამ გაკვეთილს ვერ გამოიყენებს სხვა, თუ ის იქნება არა მხოლოდ ახლებური, არამედ ნათელიც, მოკლეც, ზუსტიც, სრულყოფილიც და გამოსაყენებლად ადვილიც. როცა გაკვეთილს ყველა აღნიშნული თვისება აქვს, ის ეკონომიკურ ღირებულებას იძენს – ნოვატორული ხდება.

ხშირად მასწავლებელის მიდგომა სწავლებისადმი ღირებულია. მან შეიძლება ეს მიდგომა სხვასაც გაუზიაროს, გამოაქვეყნოს კიდეც რამდენიმე გაკვეთილი. თუმცა, შესაძლებელია, ბევრი მათგანი ვერ გახდეს წარმატებული და ვერ გაიზიაროს სხვა მასწავლებელმა. ის

მხოლოდ ერთ საკლასო ოთახში – გაკვეთილის დამწერის საკლასო ოთახში გამოდგება. გაკვეთილის გეგმის აგების უამრავი ვარიანტი არსებობს. უამრავი რამ უნდა იქნეს განხილული ყურადღებით და დეტალურად. კარგი გაკვეთილის დასაწერად საჭიროა დიდი ძალისხმევა. [7]

გაკვეთილის ფორმატი

განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები ეფექტური გაკვეთილის გეგმის ძალიან ბევრ ფორმატს გვთავაზობენ. ამომწურავი, კარგი გაკვეთილის ფორმატის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

1. გაკვეთილის სათაური
2. გაკვეთილის აღწერა
3. შინაარსობრივი სტანდარტები
4. ტერმინები/ცნებები
5. მოსაზღვრე საგნები
6. მიზნები
7. საჭირო დრო
8. საჭირო მასალები
9. მსვლელობა
10. დასკვნითი ნაწილი
11. შეფასება
12. განმტკიცება/დაკავშირება

განვიხილოთ თითოეული პუნქტი.

<u>**გაკვეთილის სათაური.**</u> სასურველია, გაკვეთილის სათაური არატრაფარეტული იყოს და დაფაზე დაიწეროს – ეს ერთგვარი ანკესის გადაგდება იქნება მოსწავლეებისათვის. სათაური მათ გაკვეთილის მიმართ გარკვეულ განწყობას შეუქმნის და მის მოსასმენად ინტერესს გაუღვიძებს.

<u>გაკვეთილის აღწერა.</u> ამ ნაწილით გაკვეთილის ავტორი წარმოგვიდგენს გაკვეთილის დანიშნულებასა და მიზნებს და გაკვეთილის მსვლელობის მოკლე აღწერას. მკითხველმა ამ ნაწილის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს, გამოადგება თუ არა ეს გაკვეთილი დასახული სასწავლო მიზნების მისაღწევად. ამის გამო მნიშვნელოვანია, გეგმის ეს ნაწილი იყოს ზუსტი და მოკლე.

<u>შინაარსობრივი სტანდარტები.</u> ხშირად მასწავლებლები ეძებენ კონკრეტული შინაარსის მქონე გაკვეთილს. სწორედ ამ ნაწილის მიხედვით მკითხველი ადვილად იგებს, გამოადგება თუ არა მას მოცემული გაკვეთილი მოცემული კონკრეტული მიზნისათვის. აქ ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი სასწავლო შინაარსი. ზოგჯერ ჩამოთვლილია ხოლმე ის საკითხებიც, რომლებიც გაკვეთილში ნახსენებია და არ ისწავლება, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. მაგ., თუ ავტორი ამ ნაწილში ახსენებს `სამოქალაქო უფლებებს~ და არ აზუსტებს ამ უფლებათა სწავლების საფეხურებს, მაშინ არ არის მიზანშეწონილი სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული შინაარსობრივი სტანდარტის მოხსენიება ამ ნაწილში. როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ ის შინაარსი, რომელიც გაკვეთილში არ არის მოცემული? გაკვეთილის ავტორი უნდა ერიდოს იმ შინაარსობრივი სტანდარტების ჩამოთვლას, რომელიც ზუსტად ან სრულად არ არის ახსნილი გაკვეთილში.

<u>ტერმინები/ცნებები.</u> ზოგიერთი მასწავლებელი შეიძლება სულ არ იცნობდეს შინაარსობრივ სტანდარტებს და ეძებდეს გაკვეთილს, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ კონცეფციას, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოებას, ასწავლის. სწორედ ამიტომ არის სასარგებლო კონცეფციების ჩამოთვლა. აქაც იგივე საფრთხეა მოსალოდნელი, რაც შინაარსობრივი სტანდარტების წერისას – ავტორმა მხოლოდ ის ცნებები/ტერმინები უნდა ჩამოთვალოს, რომელიც ზუსტად და სრულად არის ახსნილი გაკვეთილში.

<u>მოსაზღვრე საგნები.</u> სამოქალაქო განათლების ბევრი გაკვეთილი ინტეგრირებულია სხვა საგნებთან, მაგ., მშობლიურ ენასთან, უცხო ენასთან, ისტორიასთან, გეოგრაფიასთან და სხვ. თუ გავითვალისწინებთ საგაკვეთილო დროის შეზღუდულობას, ინტეგრაცია სასურველია. ინტეგრაცია არა მარტო საშუალებას აძლევს მასწავლებელს სხვადასხვა

დისციპლინები ერთდროულად ასწავლოს, არამედ თავად სწავლებასაც სახალისოს ხდის მოსწავლეებისათვის. სამრეწველო რევოლუციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილებები, ძალიან მიმზიდველი იქნება მსოფლიო ისტორიის მასწავლებლისთვისაც, რომელსაც ორი კურდღლის მოკვლა სურს ერთი გასროლით. ამ ნაწილში ჩამოთვლილი უნდა იყოს ის საგნები, რომელთანაც ეს გაკვეთილია ინტეგრირებული.

<u>**მიზნები**</u>**.** გაკვეთილის მიზნებში აღწერილია საგანმანათლებლო მიზნები მოსწავლეებისათვის, ანუ სწავლების სასურველი შედეგები. კარგად დაწერილი მიზნები აღწერს, თუ რა ეცოდინებათ და რის გაკეთებას შეძლებენ მოსწავლეები მოცემული გაკვეთილის შესწავლის შედეგად.

გაკვეთილის დაწერამდე ავტორმა კარგად უნდა ჩამოაყალიბოს სასურველი შედეგები, რადგან გაკვეთილის მთელი მსვლელობა პირდაპირ არის დაკავშირებული შედეგებთან. თუ მიზნები არ არის ნათელი, ავტორმა შეიძლება სულ სხვაგვარი, არასასურველი შედეგებით დაამთავროს გაკვეთილი. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც უნდა გვახსოვდეს გაკვეთილის მიზნების განსაზღვრისას: ისინი უნდა იყოს მოსწავლეებზე ორიენტირებული, გასაგები და არაორაზროვანი და მასში ნათლად უნდა ჩანდეს სწავლების მოსალოდნელი შედეგები.

მოსწავლეზე ორიენტირებული. მიზანი აღწერს, თუ რა ცვლილებაა მოსალოდნელი მოსწავლეში. ხშირად მიზნები იწყება შემდეგი ფრაზით: „მოსწავლეები შეძლებენ“, ანუ ის მიმართულია მოსწავლეზე და არა მასწავლებელზე. უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი აღწერს, თუ რა შეეძლება მოსწავლეს ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ.

გასაგები და არაორაზროვანი. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- მოსწავლეები გაიგებენ საზოგადოების სტრუქტურას;
- მოსწავლეები აღწერენ კავშირს საზოგადოების სტრუქტურასა და სამრეწველო რევოლუციას შორის.

პირველი მიზანი ძალიან ზოგადია და მასში არ ჩანს, თუ როგორ გამოამჟღავნებენ მოსწავლეები იმას, რომ საზოგადოების სტრუქტურა გაიგეს. ამგვარი მიზანი არ

უზრუნველყოფს მასწავლებლისათვის სრულ ინფორმაციას, თუ რა ეცოდინებათ მის მოსწავლეებს ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ და არც იმას, თუ როგორ უნდა შეაფასოს, მიაღწიეს თუ არა მოსწავლეებმა მიზანს. მეორე მაგალითში ნათლად არის ნაჩვენები მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევა.

<u>საჭირო დრო.</u> კითხვაზე, რა დრო არის საჭირო გაკვეთილის ჩასატარებლად, მოკლე პასუხი ასეთია, „იმდენი, რამდენიც დასჭირდება!“ ზოგიერთ გაკვეთილს შეიძლება 30წთ დასჭირდეს, ზოგს კი – 2 გაკვეთილი. გაკვეთილის წერისას უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრამა გადატვირთულია. არ უნდა ვეცადოთ „ჩავატიოთ“ რაც შეიძლება ბევრი ერთ გაკვეთილში. თუ გაკვეთილი მოიცავს უხვ მასალას, მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები ისწავლიან ძალიან ცოტას. უნდა ვეცადოთ გაკვეთილის დედააზრის შენარჩუნებას და გამოვცადოთ გაკვეთილი რაც შეიძლება მეტ კლასში, რათა განვსაზღვროთ საჭირო დრო.

<u>საჭირო მასალები.</u> საჭირო მასალები ჩამოთვლილი უნდა იყოს გაკვეთილის დასაწყისშივე. მასწავლებლებს არ უნდა ჰქონდეთ მოულოდნელი სიურპრიზები გაკვეთილის მსვლელობისას. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, როგორი სამუშაო ფურცლები, რა თვალსაჩინოებები, რა სავარჯიშოები უნდა მოამზადონ კლასში შესვლამდე. ყველა სამუშაო ფურცლის, თვალსაჩინოების და სავარჯიშოს ასლი უნდა იყოს მოცემული გაკვეთილში. მასწავლებელმა არ უნდა იზრუნოს მის დამზადებაზე.

<u>მსვლელობა.</u> ეს გაკვეთილის ძირითადი ნაწილია. მასში აღწერილია, თუ როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. ეს ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს.

ა) ყოველთვის, როცა შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იყოს აქტიური სწავლების მეთოდი. გამოკვლევები ადასტურებს, რომ მოსწავლეები უკეთ სწავლობენ მაშინ, როცა ისინი ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, ვიდრე მაშინ, როცა ისინი უსმენენ მასწავლებელს.

ბ) ზუსტად უნდა შეფასდეს, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ და რისი არა მოსწავლეებს. აქვთ თუ არა მათ ამ გაკვეთილისთვის საჭირო უნარები? შეძლებს თუ არა გაკვეთილი

მათი ყურადღების დაპყრობას? საკმარისია აქტივობები მათი ყურადღების შესანარჩუნებლად?

გ) პროცედურა უნდა იყოს ზუსტი და ნათელი. ხშირად გაკვეთილი ისე მაღალფარდოვნად არის დაწერილი, რომ მკითხველს აფრთხობს. თუ მასწავლებელი ვერ მიხვდება, როგორ უნდა ასწავლოს კონკრეტული გაკვეთილი, ის სულაც უარს იტყვის მის გამოყენებაზე. ძალიან კარგი იქნება, თუ ყურადღებით, ზუსტად და ნაბიჯ-ნაბიჯ ავხსნით აქტივობებს. ამ გაკვეთილის `მომხმარებელს~ არაფერი უნდა დავუტოვოთ `გამოსაცნობი~. უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მას, ვინც ამ გაკვეთილს გამოიყენებს, მანამდე არასოდეს უსწავლებია.

დ) უნდა დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო შინაარსი ზუსტად არის მოცემული. ავტორი არ უნდა იყოს დაუდევარი საგანთან დაკავშირებული ლექსიკის და/ან საგნის საფუძვლების სწავლებისას. ტერმინები და განსაზღვრებები ისე უნდა იყოს გამოყენებული, როგორც ეს სპეციალისტთა წრეშია მიღებული. გაცილებით ადვილია თავიდანვე სწორად სწავლა, ვიდრე მცდარად ნასწავლის ხელახლა სწავლა.

ე) უნდა ვცვალოთ სწავლების მეთოდები. უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეები სხვადასხვაგვარად სწავლობენ და ვეცადოთ, ყოველ მათგანს შევუქმნათ მოცემული თემის შესწავლისათვის საჭირო პირობები.

ვ) გაკვეთილში უნდა იყოს კითხვები და მათი პასუხები. გაკვეთილში ასევე აუცილებლად უნდა იყოს კითხვები დისკუსიისათვის და სავარაუდო პასუხები. ხშირი კითხვები გაკვეთილის მსვლელობისას ეხმარება მოსწავლეს დაიმახსოვროს ძირითადი, იყოს აქტიური და არ მოადუნოს ყურადღება.

ზ) გვახსოვდეს გაკვეთილის მიზნები. ავტორმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, ყველა მიზანი არის თუ არა მიღწეული გაკვეთილის მსვლელობაში.

თ) საფრთხეები. უნდა ვერიდოთ გაკვეთილში ზუსტთარიღებიანი მაგალითების მოტანას, ეს ამცირებს გაკვეთილის სიცოცხლეს. ასევე უნდა ვერიდოთ უმიზნო იუმორს.

<u>**დასკვნითი ნაწილი.**</u> წარმოიდგინეთ ასეთი დიალოგი მშობელსა და შვილს შორის:

– რა გააკეთეთ დღეს სკოლაში?

– ვითამაშეთ.

– რა ისწავლეთ ამ თამაშით?

– არ ვიცი.

როცა გაკვეთილის ყველა აქტივობა დასრულებულია, მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი მომენტები. დასკვნითი ნაწილი მათ ამ მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფაში ეხმარება. ძირითადი მომენტების მიმოხილვა ან სხვა დასკვნითი აქტივობები დაეხმარება მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ასპექტების გააზრებაში. ეს ნაწილი მასწავლებელსაც ეხმარება გაიგოს, მიაღწიეს თუ არა მისმა მოსწავლეებმა დასახულ მიზნებს.

<u>შეფასება.</u> ეხმარება მასწავლებელს გაიგოს, თუ რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ მიზნებს, საჭიროა თუ არა შემდგომი მუშაობა. შეფასებისას შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდების გამოყენება: მრავალპასუხიანი კითხვები, ესეები, რეფერატები, მინი წარმოდგენის შეფასება, ავთენტური შეფასება.

<u>განვრცობა/დაკავშირება.</u> გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მის მოსწავლეებს მეტის გაგება უნდათ ახსნილი თემის ირგვლივ. პედაგოგს უნდა ჰქონდეს გაკვეთილისაგან განსხვავებული სხვადასხვაგვარი ვარიანტები, რომელსაც შესთავაზებს მოსწავლეებს ცოდნის გასაღრმავებლად. სასურველია, მასწავლებელმა დააკავშიროს ახსნილი თემა ბავშვების მიერ უკვე ნასწავლ მასალასთან. ნასწავლი მასალის სხვადასხვა კონტექსტებთან დაკავშირების მრავალი გზა არსებობს.

წარმატებული იქნება თუ არა გაკვეთილი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება გაკვეთილის გეგმის შესამოწმებელი კითხვარი

1. ნათლად გამოხატავს თუ არა გაკვეთილის აღწერა გაკვეთილის მიზნებს? შეექმნება თუ არა მკითხველს ნათელი წარმოდგენა გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოების შესახებ და გაუჩნდება თუ არა მოცემული გაკვეთილის გამოყენების სურვილი?

2. არის თუ არა დეტალურად და სრულად ახსნილი შინაარსობრივი სტანდარტები და ტერმინები?

3. არის თუ არა ჩამოთვლილი მომიჯნავე საგნები გაკვეთილის მნიშვნელოვანი დამატება?

4. არის თუ არა მიზნები მოსწავლეზე ორიენტირებული? გასაგები? არაორაზროვანი? გამოხატავს თუ არა სწავლების შედეგს?

5. გაკვეთილისათვის საჭირო დრო რეალურია თუ არა?

6. ჩამოთვლილია თუ არა ყველა საჭირო მასალა? სრულყოფილად არის თუ არა მოცემული მოსწავლეთა სამუშაო ფურცლებისა და თვალსაჩინოების ნიმუშები?

7. ნათლად, ნაბიჯ-ნაბიჯ არის თუ არა ახსნილი გაკვეთილის მსვლელობა?

8. შეძლებს თუ არა გაკვეთილის მსვლელობა მოსწავლეთა ინტერესის გამოწვევასა და შენარჩუნებას?

9. მრავალფეროვანია თუ არა გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოები და აქტივობები?

10. ზუსტად და სრულად არის თუ არა ახსნილი გაკვეთილში შინაარსი?

11. შეესაბამება თუ არა გაკვეთილში მოცემული კითხვები ბლუმის ტაქსონომიის სხვადასხვა დონეებს? მოცემულია თუ არა კითხვების პასუხები?

12. უზრუნველყოფს თუ არა გაკვეთილის მსვლელობაში მოცემული ხერხები მოსწავლეების მიერ დასახული მიზნების მიღწევას?

13. შეძლებს თუ არა მასწავლებელი იმის განსაზღვრას, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა გაკვეთილი?

14. არის თუ არა მოცემულ გაკვეთილში ცოდნის გაღრმავებისა და გაძლიერების მეთოდები? [7]

რა არის ერთობლივი გაკვეთილი? [3]

ერთობლივი გაკვეთილები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. იგი შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს თანამშრომლობით დაგეგმონ, ჩაატარონ, დააკვირდნენ და შეაფასონ გაკვეთილი. აღნიშნული პრაქტიკა პირველად დაინერგა იაპონიაში, ბოლო დროს კი მას აქტიურად იყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.

ერთობლივი გაკვეთილი ეფუძნება ე.წ. ,,უკუღმა დაგეგმვის“ პრინციპს. მასწავლებლები განსაზღვრავენ სასწავლო მიზანს და შესაბამისად გეგმავენ სასწავლო სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომლებიც ამ მიზნის მიღწევაში დაეხმარებათ. გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპზე მასწავლებლები მსჯელობენ იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოსწავლეებს ჰქონდეთ სწავლის პროცესში. ისინი ასევე მსჯელობენ აღნიშნული სირთულეების თავიდან აცილებისა და/ან დაძლევის გზების შესახებ.

ერთობლივი გაკვეთილების თითოეული ფაზის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს მოსწავლე და მისი სწავლის პროცესი. კერძოდ, მასწავლებლები:

- გაკვეთილის დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეების სწავლის სტილსა და თავისებურებებს;
- გაკვეთილის ჩატარების დროს აკვირდებიან მოსწავლეების სწავლის პროცესს;
- გაკვეთილის დასრულების შემდეგ აანალიზებენ მოსწავლეების სწავლის შედეგებს;
- მოსწავლეების სწავლის შესახებ ინფორმაციას იყენებენ უფრო ეფექტური გაკვეთილის დაგეგმვისთვის.

რატომ არის ერთობლივი გაკვეთილები მნიშვნელოვანი?

ერთობლივი გაკვეთილები ფოკუსირებულია საგანმანათლებლო პროცესის უმთავრეს საკითხზე: რა ხდება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის გაკვეთილის მსვლელობის დროს? როდესაც იაპონელ მასწავლებლებს ჰკითხეს, რატომ იყო ერთობლივი გაკვეთილები მათთვის მნიშვნელოვანი, შემდეგ ძირითად ასპექტებზე მიუთითეს: ერთობლივი გაკვეთილის სესიები მასწავლებლებს ეხმარება შეიძინონ ცოდნა და უნარები, რომლებსაც მეორე დღესვე გამოიყენებენ საკუთარ კლასებში. ქეთრინ ლევისი, უფროსი მეცნიერი, მილის კოლეჯი 24 მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის ხელმძღვანელობა:

- ერთობლივი გაკვეთილები ეხმარება მათ გაკვეთილის, თემისა თუ სემესტრის მიზნების უკეთ გააზრებაში;
- ერთობლივი გაკვეთილები ეხმარება მათ საგნობრივი ცოდნისა და პედაგოგიური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში;
- ერთობლივი გაკვეთილები შესაძლებლობას აძლევს მათ იფიქრონ მოსწავლეების გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე და შეაფასონ, რას სწავლობენ მოსწავლეები ყოველდღიურად ამ მიზნების მისაღწევად;
- ერთობლივი გაკვეთილები ხელს უწყობს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას;
- ერთობლივი გაკვეთილები ეხმარება მასწავლებლებს მუდმივად ახსოვდეთ მათი საქმიანობის მთავარი ფოკუსი - მოსწავლე.

ერთობლივი გაკვეთილის ძირითადი ფაზები:

ერთობლივი გაკვეთილი კომპლექსური პროცესია და ცხრა ძირითადი ფაზისგან შედგება, რომლებიც მოიცავს ერთობლივი გაკვეთილის პროცესის სამ ძირითად ეტაპს: გაკვეთილის დაგეგმვა, გაკვეთილის ჩატარება/დაკვირვება და რეფლექსია. ერთობლივი გაკვეთილის სესიებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ერთი და იმავე საგნის მასწავლებლებს. შესაძლებელია, სხვადასხვა საგნის მასწავლებლებიც ჩაერთონ ამ

პროცესში. ამ შემთხვევაში, მათი ფოკუსი იქნება პედაგოგიურ უნარ-ჩვევებსა და სწავლების ზოგად სტრატეგიებში გაწაფვა.

I ფაზა ერთობლივი გაკვეთილის სესიის მიზნის განსაზღვრა	• მასწავლებლები ასახელებენ იმ სტრატეგიებსა და მიდგომებს, რომელთა დაუფლება და პრაქტიკაში დანერგვა სურთ; • მასწავლებლები არჩევენ სწავლების საკითხს, კლასს, კონკრეტულ კომპეტენციებსა და უნარებს ეროვნული სასწავლო გეგმიდან; • მასწავლებლები განსაზღვრავენ გაკვეთილის სასწავლო მიზნებს.	I. გაკვეთილის დაგეგმვა
II ფაზა სტანდარტებისა და მასალების განხილვა	• მასწავლებლები განიხილავენ შესაბამის სტანდარტებს (მოსწავლეთა მისაღწევ შედეგებს ეროვნული სასწავლო გეგმიდან); • მასწავლებლები განიხილავენ გაკვეთილის მიზნებს საგნის სემესტრულ და/ან თემატურ გეგმებთან მიმართებით; • მასწავლებლები მსჯელობენ გაკვეთილის დაგეგმვისთვის საჭირო სასწავლო და პროფესიული რესურსების შესახებ.	I. გაკვეთილის დაგეგმვა
III ფაზა სასწავლო აქტივობების დაგეგმვა	• მასწავლებლები გეგმავენ აქტივობებს და მათი წარმართვისათვის საჭირო ძირითად შეკითხვებს; • მასწავლებლები განსაზღვრავენ თითოეული აქტივობისთვის საჭირო დროს და რესურსებს.	
IV ფაზა მსჯელობა მოსწავლეთა სააზროვნო პროცესების შესახებ	• მასწავლებლები თავდაპირველად თვითონ ასრულებენ მოსწავლეებისთვის მისაცემ დავალებებს; • მასწავლებლები მსჯელობენ იმ შეკითხვების, სირთულეებისა თუ მოსაზრებების შესახებ,	

	რომლებიც შეიძლება მოსწავლეებს ჰქონდეთ სწავლის დროს; • მასწავლებლები მსჯელობენ, როგორ უპასუხონ მოსწავლეთა შეკითხვებს და როგორ აიცილონ თავიდან სირთულეები ან დაეხმარონ მათ დაძლევაში.	
V ფაზა მონაცემთა შეგროვების გეგმის შემუშავება	• მასწავლებლები მსჯელობენ, რა სახის მონაცემების შეგროვება დასჭირდებათ გაკვეთილის დროს, რათა შეძლონ მოსწავლეების სწავლისა და, ზოგადად, გაკვეთილის მსვლელობის შეფასება; • მასწავლებლები თანხმდებიან მონაცემების შეგროვების ფორმასა და ინსტრუმენტებზე.	
VI ფაზა გაკვეთილის ჩატარება	• მასწავლებლების მიერ ერთობლივად შემუშავებული გეგმის მიხედვით ერთ-ერთი მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს, დანარჩენები კი ესწრებიან მას.	II. გაკვეთილის ჩატარება
VII ფაზა მონაცემების შეგროვება	• მასწავლებლები წინასწარ განსაზღვრული ფოკუსის მიხედვით აკვირდებიან გაკვეთილს და აგროვებენ/ ინიშნავენ მონაცემებს; • დამკვირვებლები არ ერთვებიან გაკვეთილის მსვლელობაში. ისინი მხოლოდ მოძრაობენ კლასში და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად უსვამენ შეკითხვებს და ესაუბრებიან მოსწავლეებს.	

ამრიგად ზემოთაღნიშნული ინფორმაციიდან გაკვეთილის წინასწარი დაგეგმვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სწავლა/სწავლების პროცესში. მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ გაკვეთილის გეგმის შედგენა ხელს უწყობს სწავლების ეფექტიანობას. რადგან წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილი საშალებას აძლევს მასწავლებელს გაწეროს გაკვეთილისათის საჭირო

სტრატეგიები, რესურსები, დრო. მოარგოს თითოეულ მოსწავლეს და მარტივად მოახდინოს მოსწავლეთათვის როგორც ცოდნის გადაცემა, ასევე ცოდნის ხარისხის შემოწმებაც.

თავი III

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს:

1.სკოლის მასწავლებლები (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები);

2.სკოლის ადმინისტრაცია (ინტერვიუ სკოლის დირექტორთან).

შერჩევა

სკოლაში გამოყენებული იქნა შერჩევის 2 ტიპი: სრული (საკვლევი პრობლემის შესასწავლად კითხვარის საშუალებით გამოიკითხა 25 მასწავლებელი) და მიზნობრივი (ეს შერჩევა გამოყენებული იქნა ინტერვიუს დროს დირექტორთან, რადგან მან დაგეგმა, რომ მასწავლებლებმა უნდა დაწერონ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმები).

კვლევის სამოქმედო გეგმა და ვადები

აქტივობა	10	11	12	01	02	03	04	05
საკვლევი პრობლემის შერჩევა	X							

დაკვირვება	X	X	X	X	X	X	X	
პრობლემის იდენტიფიცირება სკოლის დირექტორთან ერთად	X							
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X							
ინტერვიუ სკოლის დირექტორთან		X						
საკვლევი კომისიის შერჩევა/შექმნა		X						
შეხვედრა კვლევის კომისიის წევრებთან		X						
მეორადი მონაცემების შეგროვება			X					
ფოკუს-ჯგუფი კვლევის კომისიასთან კითხვარის შედგენისთვის			X					
კითხვარის შედგენა			X					
გამოკითხვა				X				

მიღებული შედეგების ანალიზი					X			
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა					X			
ინტერვენციების განხორციელება						X		
ინტერვენციების შედეგების ანალიზი							X	
პრეზენტაცია, შედეგების გაცნობა							X	

მონაცემთა შეგროვების მეთოდები

1. ჩაღრმავებული ინტერვიუ

მიზანი: მონაცემთა შეგროვების ეს მეთოდი განხორციელდა საჯარო სკოლის დირექტორთან, რადგან ინიციატივა რომ მასწავლებლებს ეწერათ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმები მას ეკუთვნოდა, ეს ინიციატივა მისგან მოდიოდა. დირექტორისგან მე გავიგებდი პასუხებს ისეთ მნიშვნელოვან კითხვებზე როგორიცაა: რა მიზანს ემსახურება ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერა? ეს განაპირობებს თუ არა სწავლების ეფექტურობას და ზრდის თუ არა სწავლების შედეგებს? რა უპირატესობა აქვს ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებულ საგაკვეთილო გეგმის ნიმუშს? როგორია კონტროლის მექანიზმი?

2. ფოკუს-ჯგუფი

ფოკუს-ჯგუფი ჯგუფური დისკუსიის ფორმაა. ამ დროს მკვლევარი თემის ან საკითხის განსახილველად სპეციალურად შერჩეულ ადამიანებს იწვევს. ფოკუს-ჯგუფის დროს მიღებული ინფორმაცია ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთქმედების შედეგია.

მიზანი: ეს მეთოდი გამოვიყენე რათა გამერკვია, რაგორ უყურებდნენ ისინი საგაკვეთილო გეგმების წარმოების პრაქტიკას და როგორ იყენებდნენ თანამშრომლობით კულტურას საგაკვეთილო გეგმების შედგენის დროს?

სკოლაში მოქმედიკათედრებიდან ფოკუს-ჯგუფში მოვიწვიე თითო წარმომადგენელი (კათედრების ხელმძღვანელები), რათა გამერკვია რა დამოკიდებულება ქონდათ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წარმოებასთან დაკავშირებით, რა პრობლემებს ხედავდნენ და თანამშრომლობდნენ თუ არა ისინი საგაკვეთილო გეგმების შედგენის დროს ერთმანეთთან (სულ 8 მასწავლებელი).

3. ანკეტირება

რადგან ეს პრობლემა ეხება ყველა მასწავლებელს, მათი აზრი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია (რადგან სწორედ მათ უნდა უნდა მიიღონ მონაწილეობა ინტერვენციების განხორციელებაში). სკოლაში არის სულ 30 მასწავლებელია, საიდანაც კითხვარი შეავსო 25 მასწავლებელმა.

4.მეთოდი დაკვირვება (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება)

დაკვირვება ბუნებრივ სიტუაციაში „ცოცხალი“მონაცემების შეგროვების პროცესია. ამ დროს მკვლევარს შეუძლია უშუალოდ ადევნოს თვალი ადგილზე მიმდინარე მოვლენას და არ დაეყრდნოს მეორად ანგარიშს.დაკვირვებით ვალიდური მონაცემების მოგროვება არის შესაძლებელი. მე ამ შემთხვევაში ვიყენებ სტრუქტურირებულ ანუ წინასწარ დაგეგმილ დაკვირვებას, ანუ ჩემთვის წინასწარ არის ცნობილი რას ვაკვირდები.

მიზანი: გამერკვია რამდენად წარმართავდა მასწავლებელი გაკვეთილს საგაკვეთილო გეგმის შაბლონების მიხედვით.

5.მეორადი მონაცემების ანალიზი

მეორადი მონაცემების ანალიზის მიზანი იყო შემესწავლა სკოლაში უკვე არსებული ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების სტრუქტურა, თუ განიცადა გეგმებმა ცვლილება, რა ძირითადი კომპონენტებისგან შედგება საგაკვეთილო გეგმა. ასევე დაახლოებით რა დრო სჭირდება ერთი საგაკვეთილო გეგმის დაწერას.

შერჩევა მიზნობრივი. შევისწავლე ის გეგმები, რომელიც დირექტორის განმარტებით აკმაყოფილებდა ყველა კრიტერიუმს და ის გეგმებიც, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდა დირექტორის მოთხოვნებს.

თავი IV კვლევის შედეგები

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ჩაღრმავებული ინტერვიუ დირექტორთან

დირექტორთან ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მისი დამოკიდებულება, რომ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წარმოება ყველა მასწავლებლისთვის აუცილებელი და საჭიროა (რადგან სკოლის ჟურნალში აღარ იწერება გაკვეთილის თემა, ეს ერთდაგვარად მას მონიტორინგის საშუალებასაც აძლევს). წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილი მასწავლებელს უადვილებს გაკვეთილის ჩატარებას, აფიქრებს მიზნის შესაბამის აქტივობებზე და მეთოდებზე, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლების შედეგებზე. დირექციის მიერ შეთავაზებულ საგაკვეთილო გეგმას უპირატესობა გააჩნია სხვა გეგმებთან შედარებით, რადგან დეტალურადაა ასახული/გაწერილი გაკვეთილის ყველა კომპონენტი. (გაკვეთილის თემა, მიზანი, აქტივობები, მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ესგ-ის სტანდარტი და შედეგები, შეფასება, თვითშეფასება). საგაკვეთილო გეგმების წარმოების კონტროლის მექანიზნი კი ძალიან მარტივია (კვირის ბოლოს ჩააბარონ მასწავლებლებმა დირექტორს საგაკვეთილო გეგმები, რომელიც გადახედავს და ნახავს აწარმოებს თუ არა ყოველდღიურად მასწავლებელი საგაკვეთილო გეგმებ).

ფოკუს -ჯგუფი

ფოკუს-ჯგუფი გამოვიყენე საგნობრივი კათედრის პედაგოგებთან. შევიმუშავე კითხვარი. კითხვარის მიზანი იყო მასწავლებლების ფამოკიდებულების კვლევა საგაკვეთილო გეგმის წერის პრაქტიკასთან დაკავშირებით (დანართი N 1).

ფოკუს-ჯგუფის გამოყენების დროს პედაგოგები გულწრფელად პასუხობდნენ კითხვებს, გამოიკვეთა, რომ ჩვენი სკოლის პედაგოგები იცნობენ და ერკვევიან სწავლების თანამედროვე მეთოდებსა თუ სტრატეგიებში და გაკვეთილის დაგეგმვის ძირითად პრინციპებში, ხშირად წინასწარაც ემზადებიან გაკვეთილის ჩასატარებლად, ერთმანეთთანაც თანამშრომლობენ და ყოფილა შემთხვევა, რომ ერთადაც დაუგეგმავთ გაკვეთილები, თუმცა პედაგოგთა დიდ ნაწილს გაკვეთილის გეგმის წერა ზედმეტ რუტინად მიაჩნიათ, რადგან ამას ბევრი დრო მიაქვს და მაშინ როდესაც პოდაგოგს აქვს ბერვი საგაკვეთილო საათი ყოველდღე, რთულია თითოეული გაკვეთილის გეგმის წერა, ამავე დროს აღნიშნეს, რომ გაკვეთილი არის ცოცხალი პროცესი და რაც არ უნდა მოხდეს ზუსტად გეგმის მიხედვით ვერ წარიმართება. გამოკითხვიდან აღმოჩნდა რომ მასწავლებლები გაკვეთილზე დროის კონტროლსაც ვერ ახერხებენ და ამის გამო ხშირად რამდენიმე აქტივობა განუხორციელებელი რჩებათ.

გამოკითხვა - ანკეტირების შედეგები:

1. აწარმოებთ თუ არა ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმებს?



2.კარგად ჩატარებული ჩატარებული გაკვეთილისთვის არის თუ არა აუცილებელი



3.თუ გეგმავთ გაკვეთილს რა არის ამის მიზეზი?



4.რა პრობლემებს ხვდებით საგაკვეთილო გეგმების წერის დროს?



5. თქვენი აზრით როგორი სახის უნდა იყოს საგაკვეთილო გეგმა, რომ იგი პრაქტიკულად განხორციელდეს?



დაკვირვება (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება)

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება განხორციელდა საბაზო და საშუალო საფეხურის 20 მასწავლებელზე მათთან შეთანხმებით



დაკვირვება განხორციელდა სულ 20 გაკვეთილზე. (რამდენად რეალისტურია გაკვეთილის მიზანი? დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელია თუ არა გაკვეთილის მიზნის მიღწევა? შეესაბამება თუ არა აქტივობებს მეთოდები? შეესაბამება თუ არა აქტივობებს და მეთოდებს კლასის ორგანიზების ფორმა? ახდენს თუ არა მასწავლებელი მოსწავლეთა შეფასებას წინასწარ მომზადებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით? იცავს თუ არა მასწავლებელი დროის ლიმიტს?)

მეორადი მონაცემების ანალიზი

მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი იქნა სკოლაში არსებული ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების სტრუქტურა. გაკვეთილის გეგმის ნახევარზე მეტ შემთხვევაში გაკვეთილის გეგმები თითქმის იდენტური იყო (განსხვავებული იყო მხოლოდ გაკვეთილის თემა და მიზანი).რაც შეეხება ცვლილებას, გაკვეთილის გეგმის

სტრუქტურას , ხელშესახები ცვლილება არ განუცდია (ერთადერთი რაც იყო არის ესგ-ის სტანდარტის და შედეგის დამატება).

მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

1. ზოგიერთი მასწავლებელი განსხვავებულად აღიქვამს საგაკვეთილო გეგმის შემადგენელ ნაწილებს;
2. ზოგიერთ მასწავლებელს უჭირს ერთმანეთისგან განასხვაოს აქტივობა და მეთოდი;
3. შეფასების კომპონენტში მასწავლებელი წერს მხოლოდ განმსაზღვრელი ან განმავითარებელი და არ აკონკრეტებს შეფასების სტრატეგიებს.

შერჩევა მიზნობრივი.

შევისწავლე 3 გაკვეთილის გეგმა, რომელიც დირექტორის აზრით, საგაკვეთილო გეგმის ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა და 2 საგაკვეთილო გეგმა, რომელიც ასევე დირექტორის აზრით საგაკვეთილო გეგმის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდა (აკმაყოფილბედა ის გეგმები, სადაც ყველა ველი შევსებული იყო და ვერ აკმაყოფილებდა, რომელიც სრულყოფილად არ იყო შევსებული. შინაარსობრივ მხარეზე ნაკლები ყურადღება იყო გამახვილებული).

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავგეგმე ორი სახის ინტერვენცია:

1. **საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა;**
2. **მასწავლებელებს შორის თანამშრომლობის კულტურის გაუმჯობესება.**

1.საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურაში ცვლილების შეტანა გულისხმობს, რომ მასწავლებლებთან ერთად განვიხილოთ საგაკვეთილო გეგმის ყველა კომპონენტი, რათა მოხდეს მისი ერთნაირად აღქმა/გააზრება და მასწავლებელის საჭიროებებიდან გამომდინარე მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

2. მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებაში იგულისხმება საგნობრივი კათედრის წარმომადგენლების ყოველკვირეული შეხვედრა, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა, ჩატარება და შემდგომ მისი ანალიზი.

კვლევის მიგნებები და ნაკლოვანებები

- მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილის გეგმებს დირექტორის მოთხოვნის შესაბამისად, თუმცა ეს საგაკვეთილო გეგმები ხშირად არის ფორმალური და არაეფექტური;
- მასწავლებელბი თითქმის არ იყენებენ ესგ-ს საგაკვეთილო გგემების შედგენის დროს;
- მასწავლებბელების უმრავლესობა ვერ ხედავს საგაკვეთილო გეგმების წარმოების აუცილებლობას.

ინტერვენცია

ინტერვენცია N 1: <u>**სამუშაო შეხვედრა მასწავლებლებთან**</u>

შეხვედრის მიზანი: სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო გვემსჯელა უკვე არსებული საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურის შესახებ, განგვეხილა გეგმის ყველა კომპონენტი და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მიგვეღო ერთიანი საგაკვეთილო გეგმა.

მსვლელობა: ესწრებოდა სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საზოგადოებრივი კათედრის მასწავლებლები.(კვლევისთვის შეირჩა საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლები). ამ შეხვედრაზე განხილული იქნა სკოლაში უკვე არსებული საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურა.

შეხვედრას სულ ესწრებოდა 18 მასწავლებელი. გაკვეთილის გეგმის სტრუქტურის გარშემო გაიმართა საინტერესო, საქმიანი დისკუსია და საბოლოოდ შევჯერდით, რომ საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურა შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო.

1.გაკვეთილის თემა

2.გაკვეთილის მიზანი

3.ძირითადი აქტივობები

4.მეთოდები

5.კლასის ორგანიზების ფორმა

6.რესურსები

7.შეფასება

8.მასწავლეფლის თვითშეფასება (რეფლექსია).

ამ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელები იხელმძღვანელებდნენ ამ გეგმით ერთი თვის განმავლობაში. (ჯამში სულ თითოეულ მასწავლებელს უნდა დაეგეგმა და ჩაეტარებინა დაახლ. 8-10 გაკვეთილი).

ინტერვენცია N 2: <u>ერთობლივად გაკვეთილების დაგეგმვა</u>

მიზანი: მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის კულტურის გაღრმავება, პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა.

მსვლელობა: კათედრის წარმომადგენლებმა დაგეგმეს და ჩაატარეს გაკვეთილები. მაგალითად ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში 9 კლასში, ინტეგრირებული გაკვეთილი ბიოლოგიასა და ქიმიაში 9 კლასში, მათემატიკა და ხელოვნება 8 კლასში და სხვა..

ინტერვენცია N3: <u>გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება</u>

მიზანი: გამოცდილების გაზიარება და პრაქტიკული გაკვეთილის და საგაკვეთილო გეგმის ერთმანეთთან დაახლოება

მსვლელობა: კათედრის წარმომადგენლები ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილზებზე ერთმანეთს ესწრებოდნენ, ხოლო გაკვეთილის დასრულების შემდეგ ერთობლივად განიხილავდნენ გაკვეთილის შედეგებს და ერთმანეთს აძლევდნენ ღირებულ უკუკავშირს.

განხორციელებული ინტერვენციების შედეგების ანალიზი

პირველი ინტერვენციის განხორციელების შემდეგ მოვახდინე ანალიზის ჩატარება ინტერვენცია პირვლ რიგში გათვლილი იყო თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებისკენ. შეხვედრის დროს გადაწყდა შეგვექმნა ერთობლივი ერთიანი საგაკვეთილო გეგმა. ვიმსჯელეთ უკვე არსებული საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურის შესახებ, განვიხილეთ გეგმის ყველა კომპონენტი და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მივეღეთ ერთიანი საგაკვეთილო გეგმა.

გადაწყდა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლებს ემუშავათ ახალი სტრუქტურის საგაკვეთილო გეგმით. მომხდარიყო მონიტორინგი და შეგვეფასებინა ახალი გეგმის მუშაობა, წარმატებით მუშაობის შემთხვევაში დაგვენერგა ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმებად.

მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა (8 მასწავლებელი) აღნიშნა, რომ:
მისთვის მისაღებია წინასწარ მომზადებული საგაკვეთილო გეგმა აღნიშნული სტრუქტურით.

საგაკვეთილო გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს გაკვეთილის მიზანი, აქტივობები და მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა და შეფასება.
რაც შეეხება რეფლექსიას, მისი წერა ყველა გაკვეთილის შემდეგ ძალიან შრომატევადია, თუმცა შედეგის მომცემი არის, ამიტომ კვირის ბოლოს კლასების მიხედვით ერთი რეფლექსიის დაწერა აჯობებდა.

მასწავლებლთა მეორე ნაწილის აზრით (6 მასწავლებელი):

საგაკვეთილო გეგმის წერა დროის ფუჭი ხარჯვაა, (მაგრამ თუ ადმინისტრაცია ითხოვს, ისიც დაემორჩილება მოთხოვნას და დაწერს საგაკვეთილო გეგმებს ყველა გაკვეთილისთვის) რადგან გაკვეთილი არის ცოცხალი ორგანიზმი და წინასწარ დაგეგმო რას გააკეთებ ცოტა უცნურია.

მასწავლებელმა ყოველთვის უნდა შეძლოს აქტივობა მოარგოს მოსწავლის საჭიროებებს. მისი აზრით, ახალ საგაკვეთილო გეგმებს გაკვეთილის ხარისხზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის აზრით (6 მასწავლებელი):

მისაღებია ახალი საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურა და იგი ეხმარება მასწავლებელს ორგანიზებულად წარმართოს საგაკვეთილო პროცესი. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის აუცილებელი აქტივობების დაკონკრეტება (მაგ. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეს დაუსვამს სხვადასხვა დონის და ტიპის შეკითხვებს. ამის შემდეგ არ არის აუცილებელი შეკითხვების ჩამოწერა).

რეფლექსიის დაწერა ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

არაა აუცილებელი საგაკვეთილო გეგმაში განსაზღვრო მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები.

შერჩეული იქნა 8 მასწავლებელი. ერთი თვის განმავლობაში მათ 2 სამუშაო შეხვედრა გამართეს. პირველ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ორივე მასწავლებელი ნებისმიერ კლასში გამოიყენებდა ერთსადაიმავე აქტივობას (წყაროს ანალიზი). ერთმა მასწავლებელმა ეს აქტივობა გამოიყენა 12 კლასში, ხოლო მეორე მასწავლებელმა 9 კლასში. ასევე დაგეგმეს ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება სხვადასხვა კლასებში. მომდევნო შეხვედრაზე გაირკვა, რომ მასწავლებლებს ამ აქტივობის განხორციელების დროს თითქმის არანაირი დაბრკოლება არ შექმნიათ.

მომდევნო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მასწავლებლებს მოსწავლეებისთვის ისეთი აქტივობა შეეთავაზებინათ, რომელსაც იშვიათად, ან საერთოდ არ იყენებდნენ. გადაწყდა, რომ მასწავლებლებს ერთსადაიმავე კლასში (9 კლასში ისტორიის და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე) განეხორციელებინთ რაიმე საკითხის სწავლება კარიკატურების გამოყენებით. ორივე მასწავლებელმა ჩაატარა აღნიშნული მეთოდის გამოყენებით გაკვეთილი, ხოლო შემდეგ მოხდა შედეგის განხილვა. ორივე შემთხვევაში აქტივობა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობით განხორციელდა, მაღალი იყო მოსწავლეთა დაინტერესება, ხელი შეეწყო კრიტიკულ აზროვნებს, არგუმენტირებულ მსჯელობას; თუმცა ამ აქტივობის განხორციელებას ახლდა გარკვეული სირთულეც, შედარებით რთული იყო კლასის მართვა.

მომდვენო შეხვედრა დაეთმო შედეგების ანალიზს, გამოცდილების გაზიარებას. შეხვედრას ესწრებოდა 3 მასწავლებელი. მათ აღნიშნეს, რომ კოორდინირებული მუშაობა, სამუშაო შეხვედრები, გაკვეთილის ერთობლივად დაგეგმა და შემდეგ მისი ანალიზი პროფესიული განვითარებისთვის ერთ - ერთი აუცილებელი კომპონენტია; თუმცა თან ახლავს სირთულეებიც (კერძოდ დრო).

ინტერვენციის შეფასება დირექტორის მიერ

როგორც უკვე ავღნიშნე, სამუშაო შეხვედრას ესწრებოდა სკოლის დირექტორი, დირექტორის მოსდგილე და საზოგდოებრივ კათედრაში გაერთიანებული მასწავლებელები. მსჯელობის შედეგად გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ერთეულებს:

1.გაკვეთილის თემა

2.გაკვეთილის მიზანი

3.აქტივობები და მეთოდები

4.კლასის ორგანიზების ფორმა

5.შეფასება/თვითშეფასება (თვითშეფასება/რეფლექსია უნდა იყოს ნებაყოფლობითი).

რაც შეეხება მეორე ინტერვენციას, გამოიკვეთა, რომ სამუშაო შეხვედრები და მსჯელობა გაკვეთილის ირგვლივ არის შედეგის მომტანი, თუმცა თან ახალავს ერთი შედარებით შემაფერხებელი გარემოება- დრო.

სკოლის დირექტორთან ჩატარებული შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა, რომ დირექტორს ძირითადად მოსწონს კვლევის კომისიის მიერ შემოთავაზებული საგაკვეთილო გეგმის ნიმუში (ერთადერთი, რაც არ მოსწონს, გახლავთ ის გარემოება, რომ რეფლექსია არის ნებაყოფლობითი. მას მიაჩნია, რომ თვითშეფასება მონიტორინგის ერთ ერთი საუკეთესო საშუალებაა, რათა დარწმუნდე როგორ მიდის პროცესი, რაა გასაუმჯობესებელი).

<u>ინტერვენციების განხორციელების შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:</u>

1.მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ საგაკვეთილო გეგმების წერა ერთგვარი ფორმალობაა, ამიტომ, რაც ნაკლები კომპონენტები იქნება და რაც ნაკლები დრო დასჭირდება მის მომზადებას უკეთესია.

2.გამოკითხული მასწავლებლების უმრავლესობა ამბობს, რომ კარგად დაგეგმილი გაკვეთილი წარმატებული გაკვეთილის წინაპირობაა. (დაახლ 40%).ასევე უმრავლესობა ადასტურებს, რომ საგაკვეთილო გეგმის წერა აუცილებელია (დაახლ 35%). გარკვეული ნაწილის აზრით, საგაკვეთილო გეგმა მასწავლებელს ეხმარება გაკვეთილის წარმატებით წარმართვაში (დაახლ. 25%).

(აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები აღნიშნავენ შეიძლება არსებობდეს საუკეთესო გაკვეთილის გეგმა, მაგრამ მასწავლებელმა გაკვეთილი ვერ ჩაატაროს.)



3. აღსანიშნავია, რომ სკოლაში გამოცდილების გაზიარება ოდნაც სპეციფიკური საკითხიაა, რადგან მასწავლებლების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მისთვის ყველა საკითხი გარკვეულია და სამუშაო შეხვედრები ფორმალურ ხასიათს ატარებს.

4. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახლავთ ასევე ის გარემოება, რომ მასწავლებლები საგაკვეთილო გეგმის კომპონენტებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ.

დასკვნა

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა და მისი გაუმჯობესების გზების პოვნა. კვლევა გაგრძელდა შვიდი თვე. კვლევის მეთოდების ანალიზის საფუძველზე განვახორციელე ინტერვენცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მასწავლებებს შევთავაზე 1.

საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების შეტანა ;
2. მასწავლებელებს შორის თანამშრომლობის კულტურის გაუმჯობესება.
სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე (კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლის, ცვლილების დაგეგმვა-განხორციელებისა და შეფასების ეტაპებს) შეგვიძლია დავასკვნათ, აუციებელია:

- ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმები, სასურველია იყოს ისეთი, რომ ყველა მასწავლებელი თანხმდებოდეს გეგმის ყველა კომპონენტზე და ყველა ერთნაირად აღიქვემდეს კომპონენტის შინაარსს.
- კათედრის წარმომადგენლებს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიეცეს საშუალება გარკვეული ცვლილება შეიტანონ საგაკვეთილო გეგმაში.
- საგაკვეთილო გეგმის შედგენის დროს უმჯობესია სკოლის ადმინისტრაციამ უფრო მეტად ჩართოს მასწავლებლები საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურის შემუშავებაში და გაითვალისწინოს მათი არგუმენტები.
- საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები კვირაში ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, ერთობლივად დაგეგმონ და განიხილონ გაკვეთილის გეგმები.

კვლევის განმავლობაში მიღებულ შედეგებზე და მიგნებებზე დაყრდნობით შევიმუშავე რეკომენდაციები, რომლებიც გავაცანი ჩემს კოლეგებს. აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლიათ სკოლებს, რომლებშიც ანალოგიური პრობლემა დგას და მისი გამომწვევი მიზეზებიც იდენტურია.

რეკომენდაციები

სკოლის მასწავებლებლებს მიეცათ **რეკომენდაციები.**

სასურველია:

1. რადგან სკოლის ადმინისტრაცია საჭიროდ მიიჩნევს, რომ მასწავლებლებმა აწარმოონ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმები, სასურველია საგაკვეთილო გეგმა იყოს ისეთი, რომ ყველა მასწავლებელი თანხმდებოდეს გეგმის ყველა კომპონენტზე და ყველა ერთნაირად აღიქვემდეს კომპონენტის შინაარსს.

2. კათედრის წარმომადგენლებს, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჰქონდეთ საშუალება, რომ გარკვეული ცვლილება შეიტანონ საგაკვეთილო გეგმაში.

3. რადგან საგაკვეთილო გეგმების წერა მასწავლებლებისთვის აუცილებელია, ამიტომ საგაკვეთილო გეგმის შედგენის დროს უმჯობესი იქნება თუ სკოლის ადმინისტრაცია უფრო მეტად ჩართავს მასწავლებლებს საგაკვეთილო გეგმის სტრუქტურის შემუშავებაში და გაითვალისწინებს მათ არგუმენტებს.

4. საგაკვეთილო გეგმებზე მასწავლებლების ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს უკეთესი გაკვეთილების დაგეგმვას, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ საგნობრივი კათედრის წარმომადგენლები კვირაში ერთხელ მაინც შეხვდებიან ერთმანეთს, ერთობლივად დაგეგმავენ გაკვეთილებს და შემდომ გაიზიარებენ ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებს.

ბიბლიოგრაფია

[1] „გამოცდილი მასწავლებელი“ (ჯ.საფიერი. რ.გოუერი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.2016 წელი)

[2] სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო (წიგნი I და წიგნი II. თბილისი 2018 წელი)

[3] http://kargiskola.ge/fasilit/fasilitator_guide_geo.pdf

[4] .http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL1.1&d=HASH0156303ec37c94ff4dbe4983.6

[5] http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/lobjanidze.pdf

[6] http://mastsavlebeli.ge/?p=13291 ნინო ჭიაბრიშვილი, როგორ დავწეროთ კვლევა, ინტერნეტჟურნალი „მასწავლებელი“, 23 თებერვალი, 2017

[7] Connecting the Pieces: Building a Better Economics Lesson, Teacher Resource Manual, (1997) Richard D. Western ed., National Council on Economic Education.

დანართები:

დანართ N 1

გაკვეთილის თემა:

გაკვეთილის მიზანი:

ძირითადი აქტივობა/აქტივობები	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	რესურსი	შეფასება

დანართი N2

მასწავლებელთა ანკეტირება:

<u>**მიზანი:**</u> ეს მეთოდი გამოვიყენე, რადგან მისი საშუალებით პასუხი უნდა მიმეღო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა:

1. აწარმოებთ თუ არა ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმებს?

ა) დიახ ბ) არა

2. კარგად ჩატარებული ჩატარებული გაკვეთილისთვის არის თუ არა აუცილებელი გაკვეთილი წინასწარ იყოს დაგეგმილი?

ა)დიახ ბ) არა

3. თუ გეგმავთ გაკვეთილს რა არის ამის მიზეზი?

ა) დირექციის ვალდებულება;

ბ) უკეთესი შედეგისთვის მეხმარება ;

გ) ჩემი პროფესიული განვითარებისთვის.

4. რა პრობლემებს ხვდებით საგაკვეთილო გეგმების წერის დროს?

ა) საგაკვეთილო გეგმა დიდი მოცულობისაა და მოითხოვს დიდ დროს;

ბ) დაგეგმილი გაკვეთილი მაინც იცვლება მსვლელობის დროს.

5. თქვენი აზრით როგორი სახის უნდა იყოს საგაკვეთილო გეგმა, რომ იგი პრაქტიკულად განხორციელდეს?

ა) მოკლე/მოქნილი;

ბ) დროის მენეჯმენტის და მოსწავლეთა ორგანიზების ფორმის გარეშე ყველა სხვა კომპონენტით

გ) შეიცავდეს გაკვეთილის გეგმის ყველა კომპონენტს.

დანართი N 3 (გაკვეთილის გეგმა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნებს)

საგანი: ისტორია

გაკვეთილის ტიპი: სამოდელო (პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი)

სწავლების საფეხური: / კლასი: საბაზო / IX

მოსწავლეთა რაოდენობა: 17 (სსსმ მოსწავლე არ არის)

გაკვეთილის თემა: გეორგიევსკის ტრაქტატი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაეცნობიან როგორ გახდა ქართლ-კახეთი რუსეთზე დამოკიდებული სახელმწიფო, გაანალიზებენ გეორგიევსკის ტრაქტატის მუხლებს და გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს, განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გააზრების და გადაჭრის უნარი.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები:

IX კლასი

ისტ.IX.5. მოსწავლეს შეუძლია გაანალიზოს საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს წარმოშობასა და განვითარებაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ცხრილის საშუალებით გამოყოფს საგარეო და საშინაო ფაქტორებს, რომლებიც ქართული სახელმწიფოს ან სახელმწიფოების (ან სამთავროების) წარმონაქმნის მიზეზი გახდა.

- მსჯელობს კონკრეტულ საგარეო პოლიტიკურ ცვლილებებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა ქართულ სახელმწიფოებრივობაზე;
- აანალიზებს და ადარებს საგარეო ფაქტორების გავლენას ქვეყნის შიდა კონფლიქტებზე;

	აქტივობის მიზანი და აღწერა	**გამოყენებული მეთოდი/მეთოდები**	**კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები**	**სასწავლო რესურსები**	**დრო**
1	**კლასში საგაკვეთილო განწყობის შექმნა** მასწავლებელი მოაგვარებს საორგანიზაციო საკითხებს.	ვერბალური;	მთელი კლასი		1
2	**გაკვეთილი თემის, მიზნის განსაზღვრა** მასწავლებელი მოსწავლეებს pp საპრეზენტაციო მასალის გამოყენებით ანახებს გაკვეთილის თემის შესაბამის სლაიდებს და პარალელურად განუმარტავს გაკვეთილის თემას, მიზანს და	სოკრატული დიალოგი	მთელი კლასი	PP საპრეზენტაციო მასალა. შეფასების რუბრიკები.	3

	მოსალოდნელ შედეგებს. ასევე გაკვეთილის ტიპს (პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი), აქვე შეახსენებს ქცევის წესებს და შეფასების რუბრიკებს.				
3	**მოსწავლეების მიერ წინარე ცოდნის გააქტიურება** წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს სხვადასხვა დონის და ტიპის შეკითხვებს: (ბლუმის ტაქსონომიის გათვალისწინებით) 1.გაიხსენეთ პირველი ქართული სამეფო, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან?	ვერბალური (კი/პა)	მთელი კლასი/ინდივიდუალური	PP საპრეზენტაციო მასალა.	5 წთ.

	2.გაიხსენეთ ვახტანგ VI -ის ურთიერთობა რუსეთთან? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ ფაქტიდან? 3.გაიხსენეთ თეიმურაზ II-ის ურთიერთობა რუსეთთან? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ამ ფაქტოდან? 4.შეაფასეთ რუსეთის ქმედებები XVIII საუკუნის I ნახევარში. 5.რატომ დაინტერესდა რუსეთი ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებით XVIII საუკუნის II ნახევარში?				

4	**მოსწავლეთა მიერ გაკვეთილზე განსახილველი მთავარი საკითხის გააზრება.** მასწავლებლის ინსტრუქციის შესაბამისად მოსწავლეები შეავსებენ ცხრილს: „ქართლ-კახეთის წარმატებები და პრობლემები XVIII საუკუნის II ნახევარში" (დანართი N 1)	ვერბალური (კი/პა)	მთელი კლასი/ინდივიდუალური	ფლიფჩარტი; მარკერი.(დან.N 2)	5 წთ.
5	**მასწავლებლის მიერ ახალი მასალის ახსნა** მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება რუსეთის ინტერესის შესახებ XVIII საუკუნის II ნახევარში, გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინაპირობებს, მის	ინტერაქტიული მინი ლექცია;	მთელი კლასი	თემატური რუკა. PP საპრეზენტაციო მასალა.	5 წთ

	დადებით და უარყოფით მხარეებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ერეკლე II-ის არჩევანზე.				
6	**ისტორიული წყაროს ანალიზი** მასწავლებელი მოსწავლეებს დაურიგებს ისტორიულ წყაროებს, მისცემს კონკრეტულ ინსტრუქციას და განუსაზღვრავს დროს. მოსწავლეებმა უნდა გაანალიზონ ალტერნატიული ისტორიული წყაროები და შეავსონ კოგნიტური სქემა. (უნდა გამოყონ გეორგიევსკის	ისტორიულ წყაროებზე მუშაობა კოგნიტური სქემების გამოყენებით.	ჯგუფური მუშაობა	ალტერნატიული ისტორიული წყაროები. კოგნიტური სქემა.(დან.N 3)	8 წთ

	ტრაქტატის ზოგიერთი მუხლის დადებითი და უარყოფითი ასპექტები) (დანართი N 2)				
7	**მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია** (პრეზენტაციას გააკეთებს ერთი ჯგუფი და სხვა ჯგუფები შეავსებენ განსხვავებული მოსაზრებებით)	პრეზენტაცია	ინდივიდუალური		4 წთ
8	**ახალი მასალის სიღრმისეული წვდომა** მასწავლებელი განსაზღვრავს სადისკუსიო კითხვას: იყო თუ არა რუსეთის ხელისუფლება ერეკლესთვის სტრატეგიულად სანდო პარტნიორი	დისკუსია.	ინდივიდუალური/მთელი კლასი.		10 წთ

	და რამ განაპირობა ერეკლეს არჩევანი?				
9	გაკვეთილის შეფასება (განმავითარებელი შეფასება. მასწავლებელი კლასს/მოსწავლეს განმავითარებელ შეფასებას მისცემს ეტაპობრივად, ყველა ძირითადი აქტივობის შემდეგ)(დან.3-4)	ახსნა განმარტება	ინდივიდუალური/მთელი კლასი	შეფასების რუბრიკა	2 წთ
10	საშინაო დავალების განსაზღვრა (ესსე თემაზე: „გეორგიევსკის ტრაქტატი-ხსნა თუ მონობა?“	ახსნა-განმარტება	მთელი კლასი	შეფასების რუბრიკა	1 წთ

დანართი N 1. „ქართლ-კახეთის წარმატებები და პრობლემები XVIII საუკუნის II ნახევარში”

წარმატებები	პრობლემები

დანართი N 2. „გეორგიევსკის ტრაქტატი“

„გეორგიევსკის ტრაქტატის“ მისაღები პუნქტები ქართლ-კახეთის სამეფოსთვის	„გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიუღებელი პუნქტები ქართლ-კახეთის სამეფოსთვის

დანართი N 3. შეფასების რუბრიკები: ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	**მაღალი**	**საშუალოზე მაღალი**	**საშუალო**	**საშუალოზე დაბალი**	**დაბალი**
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გააზრება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი კარგად გააცნობიერა,იშვიათად ჭირდებათ სამუშაოს დაკონკრეტება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი გააცნობიერა,ჭირდებათ სამუშაოს დაკონკრეტება	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა	ჯგუფმა სამუშაოს მიზანი ვერ გააცნობიერა
სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო კარგად ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად (დიფერენცირებულად ან თანამშრომლობითი სწავლებისათვის) გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებულია, ჯგუფის წევრებს შორის სამუშაო სწორად გადანაწილდა	სამუშაო ორგანიზებულია, თუმცა ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაო ნაწილობრივ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა	სამუშაოდ არ არის ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არ გადანაწილდა

ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ საუკეთესო ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	აქვთ კარგი ურთიერთქმედ-ებისა და აზრთა გაზიარების უნარი	ნაწილობრივ აქვთ ურთიერთქმედებისა და აზრთა გაზიარების უნარი	არ აქვთ მოსმენისა და აზრთა გაზიარების უნარი
თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი იყო რეგულარულად აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის ყველა წევრი ხშირად იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფის თითქმის ყველა წევრი იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის ძირითადად ნაკლებად იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები	ჯგუფში უმეტესობა არ იყო აქტიური, ჯგუფის წევრებს შორის არ იყო საქმიანი ურთიერთობები
დროის ლიმიტი	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს	ცდილობენ საუკეთესოდ დაიცვან დროის ლიმიტი	ძირითადად იცავენ დროის ლიმიტს	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა	ვერ იცავენ დროის ლიმიტს

დანართი N 4. დისკუსიი შეფასების რუბრიკა

	9-10 ქულა	7-8 ქულა	5-6 ქულა	3-4 ქულა	2-1 ქულა
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ყოველთვის (თუმცა არა რეგულარულად) უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს	უჭირს მოუსმინოს და უყუროს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ყოველთვის (თუმცა არა რეგულარულად) მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელებს	ხშირად მეტყველება არამკაფიოა, მსმენელებს უჭირთ გაგება	მეტყველება რეგულარულად არამკაფიოა, მსმენელებს ხშირად უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური	ხშირად შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს	ვერ იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს

	კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	კომუნიკაციის ფორმები (თვალით, ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით			
მონაწილეობა	იჩენს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ხშირად იჩენს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრების გამოთქმით	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის შესატყვისი	მცირე ინტერესი აქვს. ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას	არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ხშირად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებს აზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს	ვერ თანამშრომლობს და ვერ იცავს დისკუსიის წესებს

მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	ხშირად მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან	ზოგჯერ მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით	თითქმის ყოველთვის მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

დანართი N 4 (გაკვეთილის გეგმა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნებს)

გ ა კ ვ ე თ ი ლ ი ს გ ე გ მ ა

მასწავლებლის სახელი, გვარი:

საგანი: ბიოლოგია

სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო

მოსწავლეთა რაოდენობა: 17. სსსმ. მოსწავლე კლასში არ არის.

გაკვეთილის თემა: გლობალური ეკოლოგიური პრობლემები.

გაკვეთილის მიზანი:

ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსწავლეები მოახდენენ გლობალური ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიკაციას, არგუმენტირებულად იმსჯელებენ მათ გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის ალტერნატიულ გზებზე.

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზე-ბის ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1.	საორგანიზაციო საკითხები. კლასში საგაკვეთილო განწყობის შექმნა.	ინტერაქტიული მინი ლექცია. ყინულის გალღობა.	მთელი კლასი.	ჟურნალი	1 წთ.
2.	გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზნებს. გაკვეთილის მოკლევადიან მიზანს აკავშირებს გრძელვადიან მიზნებთან. მოსწავლეებს შეახსენებს შეფასების კრიტერიუმებს.		მთელი კლასი.	შეფასების რუბრიკები	1 წთ.
3.	აქტივობის აღწერა მასწავლებელი წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მოსწავლეებს უსვამს	ვერბალური.	მთელი კლასი.		5 წთ.

	სხვადასხვა დონის შეკითხვებს: 1. დაასახელეთ ეკოსისტემაზე მოქმედი ფაქტორები. 2. რას უწოდებენ გამძლეობის საზღვრებს? 3. რა შემთხვევაშია ფაქტორი შემზღუდველი? 4. შეადარეთ კვებითი ჯაჭვის რგოლები ერთმანეთს, დაახასიათეთ ისინი. 5 .თქვენი აზრით, ახდენს თუ არა ადამიანი ზეგავლენას ნივთიერებათა და ენერგიის ცვლაზე? 6. როგორ ფიქრობთ, რომელი ეკოლოგიური ფაქტორის მოქმედებამ შეცვალა ჩვენი გარემომცველი ეკოსისტემები ? 7.შეგიძლიათ დაასახელოთ რომელი კონკრეტული ეკოსისტემები მდებარეობს ჩვენს სოფელში?				

	8.როგორ ფიქრობთ, მოცემულ ეკოსისტემებზე ადამიანის გავლენა მხოლოდ უარყოფით ხასიათს ატარებს ? მასწავლებელი აჯამებს აქტივობას. აკეთებს უკუკავშირს. აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას.				
4.	მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით მასწავლებელი კლასს აჩვენებს სლაიდებს სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემით და სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ ის ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა შესახებაც მათ ინფორმაცია აქვთ. მოსწავლეები ასახელებენ ეკოლოგიურ პრობლემებს. მასწავლებელი ინიშნავს მათ	მინი ლექცია.	მთელი კლასი.		8 წთ

	დაფაზე , სთხოვს მოსწავლეებს განავრცონ ისინი. მოსწავლეები მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს. მასწავლებელი ავსებს ახალი ინფორმაციით მოსწავლეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მასწავლებელი საუბრობს: 1. მჟავური წვიმების 2. ოზონის შრის დაზიანების 3. გლობალური დათბობის 4. ნარჩენების მიერ გარემოს დაბინძურების შესახებ. აღნიშნავს, რომ ამ ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებას სავალალო გავლენა აქვს ბიოსფეროზე, ხდება ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნების შემცირება, ადამიანთა საზოგადოებაში სხვადასხვა დაავადების რიცხვის ზრდა,				

	დედამიწის ყინულის საფარის დნობა და მსოფლიო ოკეანის დონის მატება. ნარჩენებისაგან ჰიდროსფეროს დაბინძურება. მოსწავლეთა დახმარებით მასწავლებელი ახასიათებს ოზონს და უხსნის მის როლს ატმოსფეროს ულტრაიისფერი სხივებისაგან დაცვაში.				
5.	აქტივობის აღწერა: მასწავლებელი წყვილებს ურიგებს სამუშაოს, აძლევს ინსტრუქციას გააანალიზონ გრაფიკი, რომელზეც მოცემულია წლების მიხედვით სათბური აირების რაოდენობა ატმოსფეროში და მოახდინონ მონაცემთა	მონაცემთა ანალიზი. პრეზენტაცია	წყვილები. ინდივიდუალური		6წთ

	ანალიზი, გამოიტანონ დასკვნები. წყვილებიდან ერთი მოსწავლე აკეთებს პრეზენტაციას.				
6.	აქტივობის აღწერა: მასწავლებლის მიერ მიცემული ინსტრუქციის მიხედვით მოსწავლეები ატარებენ ცდას: სამ ქიმიურ ჭიქაში ათავსებენ კირქვის ნატეხებს და უმატებენ ერთს წყალს, მეორეს ძმარმჟავას და მესამეს განზავებულ გოგირდმჟავას. აკვირდებიან ცდის შედეგებს და გამოაქვთ დასკვნები. ამით ახდენენ მჟავა წვიმების მოქმედების დემონსტრირებას.	ექსპერიმენტი	ჯგუფები	ქიმიური ჭიქები, კირქვა,წყალი, ძმარმჟავა, განზავებული გოგირდმჟავა. ცდის ოქმი.	5წთ
7.	ჯგუფების პრეზენტაცია.	პრეზენტაცია	ინდივიდუალური	ცდის ოქმი	2 წთ.

8.	აქტივობის აღწერა: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს მკაფიო ინსტრუქციას. სთავაზობს მათ აირჩიონ ეკოლოგიური პრობლემა. მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება და ააგონ სამუშაო ფურცლებზე მიზეზ–შედეგობრივი სქემა. პრეზენტაციის დროს კი განავრცონ მიზეზ–შედეგობრივი კავშირები პრობლემასა და შედეგებს შორის. სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას. აქტივობის ბოლოს მასწავლებელი აჯამებს ჯგუფურ მუშაობას, აძლევს მოსწავლეებს განმავითარებელ კომენტარს.		ჯგუფური		5 წთ. 5წთ

9.	აქტივობის აღწერა: მასწავლებელი აჯამებს საგაკვეთილო პროცესს. რამდენიმე მოსწავლე აკეთებს უკუკავშირს.	ინტერაქტიულ ი მინი ლექცია	მთელი კლასი		2წთ.
1 0	აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას წინასწარ ცნობილი შეფასების რუბრიკების მიხედვით.	ინტერაქტიურ ი მინი ლექცია	მთელი კლასი.		2 წთ.
1 1.	საშინაო დავალება; 1.მეცხრე კლასის ბიოლოგიის სახელმძღვანელო გვ. 148. 2. მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ჩერნობილის ატომური სადგურის ავარიის შესახებ.	ინსტრუქტაჟი	მთელი კლასი		1 წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მოსწავლეებმა მოახდინეს გლობალური ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებადა იმსჯელეს მათ გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე.

მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებისათვის.

შეფასება: განმსაზღვრელი

მადლობა თანამშრომლობისათვის!

მასწავლებლის თვითშეფასება/რეფლექსია:

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლაში განვახორციელე საკუთარი პედაგოგიური კვლევა თემაზე- **„საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერის პრაქტიკა, არსებული რეალობა და მისი გაუმჯობესების გზები“**

აღნიშნული კვლევის აქტუალობა გამოიხატებოდა იმაში, რომ საჯარო სკოლის მასწავლებლები ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერას თავს არიდებდნენ, მასთან დაკავშირებულ სირთულეებს გამო.

საკვლევი საკითხიც ასე გამოიკვეთა - მასწავლებლების მიერ ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერასთან დაკავშირებული პრობლემები.

ჩემმა პედაგოგიურმა საჭიროებამ და კვლევის შედეგებმა გადამაწყვეტინა აღნიშნულ თემაზე კვლევის ჩატარება, რაც ვიმედოვნებ, გაზრდის ჩემი კილეგების დაინტერესებას და ჩართვას სკოლისათვის აუცილებელ და მოსწავლეთათვის მნიშვენლოვან პროცესში, გაკევთილის დაგეგმვაში. ვფიქრობდი, შევძლებდი კოლეგების დახმარებას. კვლევის

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ გავეცანი სათანადო ლიტერატურას. კვლევის პროცესში, მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. ჩატარებილი მეთოდების ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა პრობლემები, რაც ხელს უშლიდა მასწავლებლებს ყოველდრიურ საგაკვეთილო გეგმების შექმნაში.

კვლევის მიზანი იყო პრობლემის მიზეზების დადგენა. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო საინტერესოდ და სწორად დაგეგმილიყო ინტერვენციები. საჭირო ისეთი მეთოდების შემუშავება, რომლებიც დამეხმარებოდა პრობლემის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრაში, მასწავლებლებს გაუჩნდებოდათ სურვილი წინასწარ დაეგეგმათ საგაკვეთილო პროცესი და აღმოფხვრილიყო ის იდეა, რომ ყოველდღიური გეგმები რუტინას წარმოადგენდა. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო საინტერესოდ და სწორად დაგეგმილიყო აქტივობები.

მიმაჩნია, კვლევაში გამოყენებული მეთოდებით შევძელი მიმეღწია დასახული მიზნისათვის. ჩემ მიერ გამოყენებული ინტერვენციებმა სასწავლო პროცესი საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა და ნელ–ნელა პრობლემის აღმოფხვრა დაიწყო. მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლი, რომ მიზანი მიღწეულია.

აღნიშნული კვლევის ანგარიში წარვადგინე შეფასების ჯგუფის წევრებისა და ყველა დაინტერესებული პირის წინაშე პრეზენტაციის სახით. მიღებული შედეგებისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე კოლეგებიდან უკუკავშირის მიღების მიზნით.

შეხვედრისას მეტად საინტერესო ასპექტები გამოიკვეთა. მათ აღნიშნეს, რომ გამოცდილების გაზიარება დაეხმარება მათ მსგავსი პრობლემის მოგვარებაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო მათთვის ჩემ მიერ ჩატარებული ინტერვენციები, რომლებიც შედიოდა იმ აქტივობების ჩამონათვალში, რის მიხედვითაც დაგეგმილი მქონდა ინტერვენციები. ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები დაეხმარათ მათ საკუთარი იდეების სტრუქტურირებაში.

კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისათვის. გამოთქვეს სურვილი, რათა უფრო ხშირად გამოეყენებინათ საგაკვეთილო პროცესში. თუმცა უკუკავშირის დროს რამდენიმე პედადოგმა მაინც გამოხატა უარყოფითი აზრი

ყოველდღე შესაქმენლი საგაკვეთილო გეგმის წერაზე, რადგან ფიზიკურად დრო მაინც არ ეყოფოდათ ამდენი გეგმის დასაწერად, თუმცა მე მათ ავუხსენი, რომ ამ შემთხვევაში მასწავლებელი არ უნდა მოდუნდეს და უნდა იყოს კარგი შემფასებელი, საგაკვეთილო პროცესის, ეფექტური და მიზანზე ორიენტირებული გაკვეთილი, რომელიც შედეგზე გადის, მოითხოვს წინასწარ მოკლე გეგმის მონახავს. ამას თუ პრაქტიკაში დავგეგმავთ მივიღებთ წარმატებულ სასწავლო პროცესს. ასევე განვუმარტე, რომ ეს მეთოდი სხვა მრავალ მეთოდებთან ერთად მოითხოვს გაქტიურებს როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელსაც.

მასწავლებელთა უმეტესმა ნაწილმა კი აღნიშნა რომ კვლევა ნამდვილად შეესაბამებოდა ჩვენი სკოლის საჭიროებას, მაშინ როდესაც სკოლაში დამკვიდრებული წესების მიხედვით გაკვეთილის გეგმების წერა აუცილებელ პირობას წარმოადგენს მასწავლებლებისათვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ინტერვენციის განხორციელების დროს საცდელად ჩატარებული ის გაკვეთილები რომელსაც წინასწარ შედგენილი გეგმა გააჩნდა ბევრად უფრო ეფექტური იყო, ვიდრე სპონტალურად ჩატარებული გაკვეთილი.

მიმაჩნია, უკუკავშირი იყო დადებითი. კოლეგები დაინტერესდნენ ჩემი კვლევის შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი თავადაც მონაწილეობა მიიღონ ჩემ მიერ შეთავაზებულ აქტივობებში.(ერთობლივი დაგეგმა, ურთიერთსწავლება, ურთიერთდასწრება და სხვა).

კახაბერ ჩაკვეტაძე